

2017

ორგანიზაცია:
ფონდი კრისტალი

აუდიტორი: Crowe
Horwath GE LLC
*Member Crowe Horwath
International*

ფონდი კრისტალი

*ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი
აუდიტორული დასკვნა 2016 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით*

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
ფინანსური ანგარიშგება	4
საბალანსო უწყისი	4
მოგება-ზარალის უწყისი.....	5
ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი.....	6
ცვლილებები საკუთარ კაპიტალში.....	7
ფინანსური ანგარიშგების ასენა-ბანმარტებითი შენიშვნები	8
ზოგადი ინფორმაცია	8
ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები.....	10
ფულადი სახსრები	10
ვალუტის კურსი	10
შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება.....	10

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფონდი კრისტალის გამგეობას:

ჩვენ ჩავატარეთ ფონდი კრისტალის თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს საბალანსო უწყისს, შემოსავლებსა და ხარჯების უწყისს და ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისს 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და დასრულებული წლისათვის და ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ასხნა-განმარტებითი შენიშვნების მოკლე მონახაზს.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთება.

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრება ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. არსებული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების შემუშავებისთვის, მაგრამ არა ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, აუდიტორი რისკის შეფასებისას ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემებს, რომლებიც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. აუდიტი ასევე ითვალისწინებს გამოყენებული ბუღალტრული პოლიტიკისა და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული შეფასებების შესაფერისობის შეფასებასა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას მთლიანობაში.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტისას მოვიპოვეთ აუდიტის დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს ფონდი კრისტალის ფინანსურ მდგომარეობასა და სახსრების მოძრაობას მოცემული პერიოდისათვის.

Crowe horwath GE LLC

Member Crowe Horwath International

თებერვალი, 2017



Crowe Horwath GE LLC

ფონდი კრისტალი

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნა 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური ანგარიშგება

საბალანსო უწყისი

2016 წლის 31 დეკემბრისათვის (ლარებში)

აქტივები	ასსნა- განმარტება	2016	2015
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	1	194,043	4,199
საგადასახადო მოთხოვნები ბიუჯეტთან		0	9,289
სხვა მიმდინარე აქტივები	2	26,466	26,848
სულ მიმდინარე აქტივები		220,509	40,336
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები, წმინდა	3	2,812	8,375
მონაწილეობა სხვა საწარმოში	4	1,450,192	1,475,593
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,453,004	1,483,968
სულ აქტივები		1,673,513	1,524,304

ვალდებულებები და კაპიტალი

მიმდინარე ვალდებულებები

სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		9,581	121,021
საგადასახადო ვალდებულებები		22	
გადავადებული მოგების გადასახადი	5	-	728
ვალდებულება ფიზიკური პირის მიმართ	6	1,328,171	1,328,171
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,337,774	1,449,920

კაპიტალი

წინა წლის აკუმულირებული მოგება		74,384	317,620
მიმდინარე წლის წმინდა მოგება/ზარალი		288,424	(243,236)
კაპიტალის კორექტირება		(27,069)	-
სულ კაპიტალი		335,739	74,384
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		1,673,513	1,524,304

ღართული კომენტარები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფონდი კრისტალი

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნა 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მოგება-ზარალის უწყისი
2016 წლის 31 დეკემბრისათვის (ლარებში)

	ასსნა- განმარტება	2016	2015
შემოსავლები			
მიღებული დივიდენდები		259,110	-
მიღებული პროცენტები		2,016	15,768
მოგება კურსთაშორის სხვაობიდან		14,557	14,112
საოპერაციო შემოსავლები		414,537	75,586
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები		2	-
არასაოპერაციო მოგება ინვესტიციების რეალიზაციიდან		297,146	-
სულ შემოსავლები		987,368	105,466
ხარჯები			
შრომის ანაზღაურება		293,385	205,013
საწევრო შენატანების ხარჯები		36,764	44,780
ქვეგრანტები		204,890	27,698
წარმომადგენლობითი ხარჯები		4,489	1,127
საოფისე ინვენტარი		0	563
კომუნიკაციის ხარჯები		1,740	313
დაზღვევა		15,885	1,794
საიჯარო ქირა		20,962	15,718
აუდიტორული მომსახურება		2,360	2,360
პიარ-მედია მომსახურება		9,000	0
იურიდიული მომსახურების ხარჯები		18,229	0
კონსულტანტების მომსახურება		1,875	10,548
ცვეთა და ამორტიზაცია		6,872	600
ვებ გვერდის დამზადების ხარჯები		4,500	-
სხვა საერთო ხარჯი	7	55,866	24,650
საპროცენტო ხარჯები		-	11,056
გაცემული გრანტის ხარჯები		-	2,283
კომპიუტერის ხარჯები		-	200
სხვა საოპერაციო ხარჯები		4,712	-
ოფისის ხარჯი		1,096	-
ტრანსპორტირება		2,137	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		14,182	-
სულ ხარჯები		698,943	348,702
მოგება/(ზარალი) დაბეზვრამდე		288,424	(243,236)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება-ზარალი		288,424	(243,236)

ღართული კომენტარები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფონდი კრისტალი

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნა 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი

2016 წლის 31 დეკემბრისათვის (ლარებში)

	2016	2015
ფულადი სახსრების მოძრაობა		
საოპერაციო საქმიანობიდან		
საანგარიშგებო წლის წმინდა მოგება/ზარალი	<u>(1,850)</u>	<u>(243,236)</u>
სხვა აქტივები	382	-
საგადასახადო მოთხოვნები	9,289	21,316
მოკლევადიანი მოთხოვნები	-	6,347
მოკლევადიანი ვალდებულებები	(111,441)	121,126
ნეტო ფულადი სახსრების მოძრაობა	<u>(103,619)</u>	<u>(94,448)</u>
ფულადი სახსრების მოძრაობა		
საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების ცვლილება	(1,309)	(7,774)
გრძელვადიანი ინვესტიციების რეალიზაცია	322,547	-
ნეტო ფულადი სახსრების მოძრაობა	<u>321,238</u>	<u>(7,774)</u>
ფულადი სახსრების ნეტო ზრდა	217,619	(102,222)
ფულადი სახსრები წლის დასაწყისში	4,199	106,420
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	221,818	4,199

დართული კომენტარები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შონდი კრისტალი

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორული
დასკვნა 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ცვლილებები საკუთარ კაპიტალში
2016 წლის 31 დეკემბრისათვის (ლარებში)

	2016	2015
დაგროვილი კაპიტალი პერიოდის დასაწყისისთვის	74,384	317,620
მიმდინარე წლის წმინდა მოგება/ზარალი	288,424	(243,236)
კაპიტალის კორექტირება	8 (27,069)	-
დაგროვილი კაპიტალი პერიოდის ბოლოს	<u>335,740</u>	<u>74,384</u>

დართული კომენტარები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფონდი კრისტალი

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნა 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

ფონდი კრისტალი, როგორც არასამთავრობო, არაპოლიტიკური, არამომგებიანი ორგანიზაცია დაარსდა 2004 წელს საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთის“ (იძულებით გადაადგილებულ პირებზე ორიენტირებული ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია) მიერ განხორციელებული მიკრო-სესხების პროგრამის საფუძველზე. ფონდი კრისტალის მიზნებია აამაღლოს ფინანსური განათლების დონე დაბალი შემოსავლის მქონე მოსახლეობაში, გააუმჯობესოს ფინანსური მომსახურების სტანდარტები, განავითაროს ახალი ტექნოლოგიები, რათა გააძლიეროს ფინანსურ მომსახურებასთან წვდომა და განახორციელოს სოციალური და თემის განვითარებისაკენ მიმართული პროექტები.

2007 წლამდე ფონდი კრისტალი ახორციელებდა მიკროსაფინანსო საქმიანობას, ხოლო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2007 წლიდან ფონდმა განიცადა რეორგანიზაცია, შეწყვიტა მიკროსაფინანსო საქმიანობის განხორციელება და მოახდინა საკუთარი მიზნებისა და საქმიანობის ფოკუსირება საგანმანათლებლო, სოციალური და სათემო განვითარების ამოცანების შესრულებაზე.

ფონდის საქმიანობას მეთვალყურეობას უწევს ფონდის გამგეობა, ხოლო ორგანიზაციის საქმიანობას ხელმძღვანელობს ფონდის აღმასრულებელი დირექტორი, რომელიც მოქმედებს გამგეობის მიერ დამტკიცებული სტრატეგიისა და შიდა დებულებების საფუძველზე.

2015 წლის 2 სექტემბერს ფონდი კრისტალსა და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს შორის გაფორმდა თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომელიც გაგრძელდება 2018 წლის 1 აპრილამდე.

პროექტი „ახალგაზრდების სამეწარმეო უნარ-შესაძლებლობების, დასაქმებისა და შემოსავლის გენერირების მხარდაჭერა საქართველოში“ წარმოადგენს საჯარო სექტორსა და კერძო ბიზნესს შორის წარმოშობილ ახალი ტიპის პარტნიორობას, რომელიც ქმნის ინსტიტუციურ ჩარჩოებს და მოდელს იმისათვის, რომ ხელი შეეწყოს ეკონომიკურ საქმიანობაში ახალგაზრდების ფართო მასშტაბით მონაწილეობას იმ გაზრდილი შესაძლებლობებით, რომელიც იძლევა თვითდასაქმების შესაძლებლობას ახალი სამწარმოების შექმნის გზით და სხვადასხვა მოწინავე კომპანიებში მეტი სამუშაო ადგილების მოპოვების საშუალებას. ეს არის აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული ერთობლივი ინიციატივა, რომელშიც მონაწილეობს ფონდი კრისტალი, „პროექტი ჰარმონია“ (PH International) და ს.ს. მისი კრისტალი.

პროექტი მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს მეწარმეობის განვითარებას და ახალგაზრდების მიერ შექმნილი მცირე საწარმოების გაძლიერებას ისეთი ინოვაციური ფორმების გამოყენებით, როგორცაა ხელმისაწვდომობა ფინანსურ რესურსებზე, ცონასა და გამოცდილებაზე. პროექტის ფარგლებში გაიზრდება ახალგაზრდების დასაქმების შესაძლებლობები შესაბამის ტრენინგების, გაუმჯობესებული ფინანსური საშუალებების, პრაქტიკული ცოდნის მიღების ახალი ფორმების და ახალგაზრდების მხარდამჭერი კორპორატიული პრაქტიკის დანერგვის გზით. და ბოლოს, პროგრამა ხელს შეუწყობს ახალგაზრდების ეკონომიკურად გაძლიერების დისკურსის წამოწყებას და განვითარებას. პროექტი იმუშავებს 17-25 წლის 1000-მდე ახალგაზრდასთან, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ცხოვრობენ. პროგრამა მოიცავს 20 მუნიციპალიტეტს.

ფონდი კრისტალი

*ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორული
დასკვნა 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით*

ფონდი ასევე ახორციელებს ფინანსური განათლების, საგზაო უსაფრთხოებისა და სამართლის უზენაესობის ინიციატივებს და წარმართავს სხვადასხვა აქტივობას ისეთი გამჭოლი თემების ირგვლივ, როგორცაა საჯარო-კერძო დიალოგი და ქალთა ეკონომიკური გაძლიერება.

ფონდის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. ქუთაისი, ტ. ტაბიძის ქ. №29.

ფონდი კრისტალი

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნა 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველები

წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს ფონდ კრისტალის ანგარიშებს, საბალანსო უწყისსა და მასთან დაკავშირებულ შემოსავლებისა და ხარჯების და ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისებს.

ფინანსური უწყისები მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ქვემოთ განიხილება სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი დებულებები.

დართული ფინანსური ანგარიშები მოყვანილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში ლარებში, რომელიც წარმოადგენს ორგანიზაციის ფუნქციონირების ძირითად ვალუტას.

ფულადი სახსრები

ფულადი სახსრები მოიცავს ფონდის საბანკო ანგარიშზე რიცხულ თანხებს.

ვალუტის კურსი

ვალუტაში წარმოებული ოპერაციები გადაანგარიშდებოდა ლარებში, ოპერაციის დღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების გადაანგარიშება ხდებოდა ანგარიშგების თარიღისთვის არსებული კურსით. ქვემოთ მოყვანილია ლარის კურსი ძირითადი უცხოური ვალუტის (აშშ დოლარის) მიმართ 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

დოლარი

ლარი

2.6468

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.

შემოსავალი მოიცავს მიღებულ დივიდენდებს, საპროცენტო შემოსავლებს, დონორი ორგანიზაციებიდან მიღებულ გრანტებს. მიღებული გრანტების შემოსავლად აღიარება ხდება შესაბამისი დანახარჯების გაწევის პროპორციულად.

ხარჯების აღიარება ხდება მათი გაწევისთანავე დარიცხვის მეთოდის გამოყენებით

ფონდი კრისტალი

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორული
დასკვნა 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

1. ფულადი სახსრები

2016 წლის 31 დეკემბრისათვის ფონდის ფულადი სახსრები მოიცავს:

ფული საბანკო ანგარიშებზე	2016	2015
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	66,262.94	262.42
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1.08	1.17
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში (USAID)	42,931.86	3,934.97
უცხოური ვალუტა ფინკა ბანკი სადეპოზიტო ანგარიში	84,697.6	-
ბიზნეს ბარათი USD	149.57	-
სულ	194,043.05	4,199.00

2. სხვა მიმდინარე აქტივები

2016 წლის 31 დეკემბრისათვის ფონდის სხვა მიმდინარე აქტივები მოიცავს:

	2016	2015
სხვა მოკლევადიანი ინვესტიციები	16,670	16,670
მომწოდებლებზე გადახდილი აგანსები	9,796	8,023
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	-	2,154
სულ	26,466	26,848

ფონდი კრისტალი

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნა 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

3. ძირითადი საშუალებები

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ასახავს 2016 წლის განმავლობაში ორგანიზაციის ძირითად საშუალებებში მომხდარ ცვლილებებსა და მათ სტრუქტურულ მდგომარეობას 31 დეკემბრისთვის:

	ოფისის აღჭურვილობა	ავტომობილები და მოწყობილობები	სულ
ისტორიული ღირებულება			
2015 წ 1 იანვარი	25,876	500	26,376
შეძენა	8,374		8,374
ლიკვიდაცია და ჩამოწერა			0
2015 წ 31 დეკემბერი	34,250	500	34,750
შეძენა	1,309		1,309
ლიკვიდაცია და ჩამოწერა			0
2016 წლის 31 დეკემბერი	35,559	500	36,059
			0
დაგროვილი ცვეთა			0
2015 წ 1 იანვარი	25,275	500	25,775
პერიოდის დარიცხვა	600		600
ლიკვიდაცია და ჩამოწერა			0
2015 წ 31 დეკემბერი	25,875	500	26,375
პერიოდის დარიცხვა	6,872	0	6,872
ლიკვიდაცია და ჩამოწერა			0
2016 წ 31 დეკემბერი	32,747	500	33,247
ნეტო საბალანსო ღირებულება			
2015 წ 31 დეკემბერი	8,375	0	8,375
2016 წ 31 დეკემბერი	2,812	0	2,812

4. მონაწილეობა სხვა საწარმოში

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფონდი ფლობდა სს კრისტალის 1,475,593 ცალ აქციას, რაც შეადგენს საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების 67.71%-ს. აღნიშნული აქციების ჯამური ნომინალური ღირებულება იყო 1,475,593 ლარი. 2016 წლის თებერვალში ფონდმა გაყიდა 25,401 ცალი აქცია, რომლის ნომინალური ღირებულება შეადგენს 25,401 ლარს, რის შედეგადაც ფონდის საკუთრებაში დარჩა სს კრისტალის 1,450,192 ცალი ჩვეულებრივი აქცია, რაც შეადგენს ხმის უფლების მქონე კაპიტალის 47.96%-ს.

ფონდი კრისტალი

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნა 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

5. გადასახადები მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან შევიდა ძალაში საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებები მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ახალი საკანონმდებლო რეგულაციების მიხედვით მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი და დაბეგვრის მომენტი შინაარსობრივად განსხვავდება ადრე არსებული რეგულაციისაგან. დაბეგვრის ახალი წესი ფინანსურ აღრიცხვასა და საგადასახადო მიზნებისათვის ხარჯებისა და შემოსავლების შორის განსხვავებას არ უშვებს და ამასთან გამოყოფს იმავე დაბეგვრის ობიექტებს (გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გაცემა; საგადასახადო კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი), რომლებიც იმავე თვეში უნდა დაიბეგროს, როცა ოპერაცია ხორციელდება. აგრეთვე კომპანიის ფინანსურ მოგებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადისთვის დაბეგვრის მომენტი არის ფინანსური მოგების განაწილების მომენტი და არ განისაზღვრება ფინანსური ანგარიშგებისთვის რომელიმე საანგარიშო პერიოდში.

6. ვალდებულება ფიზიკური პირების მიმართ

2012 წელს ფონდ კრისტალს ფიზიკური პირებისგან გადაეცა ჩვეულებრივი აქციები რომლის ღირებულება შეადგენდა 1,178,683 ლარს. გარიგება გასანივრებულ იქნა აღნიშნული ფიზიკური პირების მიერ. ვინაიდან არ არსებობს საკმარისი საფუძველი აღნიშნული აქციების ფიზიკურ პირებზე დასაბრუნებლად, ზემოთ ხსენებული თანხა აღიარდა ვალდებულებად ვიდრე არ მოხდება აღნიშნული დავის შესახებ საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილების მიღება. ფიზიკური პირების მიმართ ვალდებულება აგრეთვე მოიცავს 2012 წელს ფულის სახით განხორციელებულ ტრანსფერს 149,488 ლარის ოდენობით.

7. სხვა საერთო ხარჯი

2016 წლის 31 დეკემბრისათვის ფონდის სხვა საერთო ხარჯები მოიცავს:

ბანკის მომსახურების საკომისიო	2012.12
გამგეობის წევრების საქართველოში ვიზიტის ხარჯები	5,587.10
პრომო მასალები და დიზაინი	1059.50
STARTUP GRIND MEETING COSTS	7,678.65
ვიდეო გადაღება და მონტაჟი	4,188.00
აქციების გადაფორმების ხარჯები	753.77
მობილური ფინანსების სისტემის დანერგვასთან დაკავშირებული ხარჯები	19,357.18
ამონაწერები, ბაჟის ხარჯი, ნოტარიუსი	164.30
მივლინება	12,202.45
სატრანსპორტო ხარჯები	717.70
საკანცელარიო	1,873.84
სხვა ხარჯები	62.50
საკონკურსო განცხადების განთავსება	208.91
სულ სხვა საერთო ხარჯები	<u>55,866.02</u>

ფონდი კრისტალი

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორული
დასკვნა 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

8. კაპიტალის კორექტირება

	2016
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების გაუქმება	728.00
საგადასახადო აქტივების ნაშთის კორექტირება	(27,796.72)
სულ:	(27,068.72)

9. საწარმოს ფუნქციონირება

ფონდი 2017 წლის თებერვლის მდგომარეობით აგრძელებს ფუნქციონირებას და მის საქმიანობის შეწყვეტას რაიმე საფრთხე არ ემუქრება.
